

ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. N39-ში და ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N44-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.23.02.020 და N05.23.01.001 მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის მიზნით წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა.

დაინტერესებული პირი - შპს „ბრიტიშ დეველოპმენტი“ და შპს „ვესტინვესტი“.

დაინტერესებული კომპანიის მიერ წარმოდგენილია გეგმარებითი ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების მიზანი რაც მოიცავს: მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას, რაც უზრუნველყოფს საპროექტო კომპლექსის ვიზუალურ, მოცულობით, არქიტექტურულ და ქალაქგეგმარებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოცემული ადგილის განვითარებას. რისთვისაც საჭიროა განაშენიანების ინტენსიობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება. დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ პროექტირების განხორციელების მთავარი მიზანი არის აღნიშნული კვარტლის, როგორც არქიტექტურული, ისე ფუნქციური თვალსაზრისით, მათ შორის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ერთიანი კონცეფციით განვითარება. ინიციატორი განმარტავს, რომ აღნიშნულ ობიექტში დაიხარჯება დაახლოებით 25 000 000 ლარის ინვესტიცია.

საჯარო განხილვა გაიმართება მიმდინარე წლის 12 ნოემბერს 15:00 საათზე (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბრიფინგიუმში).

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ წინამდებარე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში წარმოადგინონ მოსაზრება საკითხის ირკველივ.

დანართი: თანდართული მასალა თან ერთვის.